ძირითადი ვულკანოგენურ–დანალექი ფაციალური ერთეულები მადნეულის პოლიმეტალურ საბადოზე, ბოლნისის რაიონი, საქართველო

ნინო ფოფხაძე

ელ–ფოსტა: nino.popkhadze@tsu.ge

ა.ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი, ი.ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჯიქიას ქ.5
გეოლოგიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახ. თსუ, უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი

მადნეულის ოქრო–სპილენძი პოლიმეტალური საბადო სამხრეთ საქართველოში ერთ–ერთი უდიდესი საბადოა, რომელიც კვლავ ათვისების პროცესშა. ის მდებარეობს ართვინ–ბოლნისის ზონაში, რომელიც თავის მხრივ ტეთისის გვიანცარცული სარტყელის ნაწილს წარმოადგენს. მადნეულის კარიერის ფარგლებში გამოყოფილ იქნა რამდენიმე ლითოფაციალური ერთეული და მათი დალექვის გარემო განისაზღვრა, როგორც წყალქვეშა. თითოეული ლითოფაციალური ერთეულების იდენთიფიკაცია და დახასიათება ეყრდნობა საბადოზე არსებული ყველა შესაძლო საფეხურის აღწერას და შესწავლას. სხვადასხვა ფაციალური ტიპები ხასიათდება განსხვავებული ტექსტურებითა და სტრუქტურებით. ზოგიერთი მათგანი პირველად იქნა აღწერილი ავტორის მიერ მადნეულის საბადოს კარიერზე. როგორიცაა რიოდაციტური ჰიალოკლასტიტები, პეპერიტები, სვეტური განწევრების იგნიმრიტები და სხვა. საბადოზე გამოიყო ჰიალო–კლასტიტების ორი ტიპი: ჰიალოკლასტიტები ბალიშისებრი ფორმებით და ჰიალოკლასტიტები მინისებრი არშიებით. სილიციფირებული რიოდაციტური ჰიალოკლასტიტების წარმოშობა განაპირობა წყლის და ქანის ურთიერთქმედებისას ლავის მყისიერმა გაციებამ და შედეგად მისმა ფრაგმენტაციამ. საბადოს შემცველ ქანებში რიოდაციტური შედგენილობის ჰიალოკლსტიტების არსებობა წყალქვეშა ნალექდაგროვების ერთ–ერთ უტყუარ მტიცებულებად არის მიჩნეული.